

შპს „დინამო ბათუმი“

სპეციალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

მარტი 2021
თბილისი

შპს „დინამო ბათუმი“

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დინამო ბათუმი“-ს მფლობელს და ხელმძღვანელობას:

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

არამოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „დინამო ბათუმი“-ს (შემდეგში „კომპანია“ ან/და „ლიცენზიის მამიებელი“) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 20 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული საბალანსო უწყისისგან, მოგება-ზარალის უწყისისგან, ფულადი სახსრების მოძრაობების უწყისისგან და ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული პერიოდისათვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA-ს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი არამოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგებები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISAs-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარისი საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გოჩა ჭოლოკავა.

10 მარტი, 2021 წ.

თბილისი, საქართველო





კლუბის ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საგადასახადო უწყისი



ლიცენზიის მფლობელი:

მკს დინამო ბათუმი

საგადასახადო უწყისი		31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		202 067	87668
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება			
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება		1 035 019	
სხვა დებიტორული დავალიანება			
საგადასახადო აქტივები		173 479	187 660
მატერიალური მარაგები		4 840	4 840
სხვა მიმდინარე აქტივები		37 710	137 593
მთლიანი მიმდინარე აქტივები		1 453 115	417 761
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		121 762	117480
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები		-	0
არამატერიალური აქტივები - სხვა		1 901	2138
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება			
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება			
საგადასახადო აქტივები			
ინვესტიციები			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		123 663	119 618
მთლიანი აქტივები		1 576 778	537 379
მიმდინარე ვალდებულებები			
ბანკის ოვერდრაფტები			
ბანკის და სხვა სესხები		931 267	
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება			
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება			
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		486 501	317725
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება		652 550	138448
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი			
მოკლევადიანი ანარიცხები			
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		849 020	351836
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		2 919 338	808 009
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის და სხვა სესხები			
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება			
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები			
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები			
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება			
სხვა საგადასახადო ვალდებულებები			
გრძელვადიანი ანარიცხები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		2 919 338	808 009
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)		(1 342 560)	(270 630)
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო/საწესდებო კაპიტალი		1 241 027	463085
გაუნაწილებელი მოგება		(2 583 587)	-733715



კლუბის ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საბალანსო უწყისი



ლიცენზიის მამიუბელი:

მკს ღინამო ზათუმი

საბალანსო უწყისი		
სხვა რეზერვები	31.12.2020	31.12.2019
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	(1 342 560)	(270 630)
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები	1 576 778	537 379
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	TRUE	TRUE
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	(270 630)	13850013
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	(1 849 872)	(627 827)
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში		-13492816
ცვლილება გადაფასების რეზერვში		
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში	777 942	
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი	(1 342 560)	(270 630)
შემოწმება	TRUE	TRUE
მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში		29272
პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი		
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	-	29 272
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია		
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში		
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა	-	-
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად	-	-
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში	-	29 272
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს	-	29 272
ნეტო საბალანსო ღირებულება		
პერიოდის დასაწყისში	-	29 272
პერიოდის ბოლოს	-	-
შემოწმება	TRUE	TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და
სანქციონირებულია გამოსაცემად

[თარიღი]
თვის: 10.03.2021

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი : არჩილ ბოლქვაძე

თარიღი: 10.03.2021

[Handwritten signature]



[Handwritten signature]



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მომავალ-ზარალის უწყისი



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს ღინამო გათუმი

მომავალ-ზარალის უწყისი

31.12.2020 31.12.2019

ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები

ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები

ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები

ამონაგები ბილეთებიდან - სანეგროები

ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი

სულ ამონაგები ბილეთებიდან

434 248 743 789

სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი

სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი

სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი

სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე

სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი

სულ სპონსორობა და რეკლამა

434 248 743 789

ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები

ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი

სულ ტრანსლაციის უფლებები

კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები

კომერციული - საქონლის გაყიდვა

კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში

კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი

სულ კომერციული

9 230 13 191

9 230 13 191

უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები

უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი

უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა

7 357

1 075 620 17 391

279 791 387 64

1 362 768 56 155

სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხურით ორგანიზაციებიდან

სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან

შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან

შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან

შემოსავალი არასაფეხურთო საქმიანობებიდან

განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი

სულ სხვა შემოსავალი

947 664 2 653 374

77 500

36 420

984 084 2 730 874

სულ შემოსავალი

2 790 330 3 544 009

რელიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი

სულ ხარჯები რელიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე

ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები

ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი

სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება

სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები

სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი

სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები

თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი

სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები

(2 406 760) (2 997 949)

(49 289)

(2 406 760) (3 047 238)

(895 184)

(895 184)

(3 301 944) (3 047 238)



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მოგება-ზარალის უწყისი



ლიცენზიის მფლობელი:

მკს ღინამო ბათუმი

მოგება-ზარალის უწყისი		31.12.2020	31.12.2019
ძირითადი საშუალებების ცვეთა		(10 678)	-99006
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)		(237)	-237
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება			
სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)		(10 915)	(99 243)
მატჩის დღის ხარჯები			
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები		(3 413)	-30336
კომერციული აქტივობების ხარჯები		(3 506)	-10152
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები			
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები			
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები			
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი		(1 519 304)	-944557
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი		(1 526 223)	(985 045)
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)		(4 839 082)	(4 131 526)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)			
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)			-29272
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)			
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)			
ნმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან			
კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით			(29 272)
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან			
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან			
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან			
ფინანსური შემოსავალი		87 809	230
ფინანსური ხარჯი		(83 374)	-10364
ნმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)		4 435	(10 134)
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)		312 585	4538
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)		(118 140)	-5442
ნმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)		194 445	(904)
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ		(1 849 872)	(627 827)
დივიდენდები			
მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ		(1 849 872)	(627 827)
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და		[თარიღი]	
სანქციონირებულია გამოსაცემად		თვის:	10.03.2021
ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და გინაობა):			
დირექტორი : არჩილ ბოლქვაძე		თარიღი:	10.03.2021

Handwritten signature



Handwritten signature



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
ფულადი სახსრების მოქარაოვის უწყისი



ლიცენზიის მატარებელი:

მკს ღინამო ბათუმი

ფულადი სახსრების მოქარაოვის უწყისი

ნმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	31.12.2020 (699 844)	31.12.2019 647 614
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	36 420	
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	36 420	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მენილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	137 490	
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მენილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	(142 082)	
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები	1 300 000	
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები	(705 957)	
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები	774 942	
(გადახდილი) ფულადი სახსრები მენილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(586 570)	(771 152)
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	777 823	(771 152)
სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)		

ნმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში 114 399 (123 538)

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია

საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	87 668	211 206
ნმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	114 399	(123 538)
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	202 067	87 668
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	202 067	87 668

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია [თარიღი]-
გამოსაცემად თვის: 10.03.2021

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):
დირექტორი : არჩილ ბოლქვაძე

თარიღი: 10.03.2021

გადახდა





კლსპავის ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
აფგ პროგრამის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს დინამო გათუმი

ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი	31.12.2020	31.12.2019	კომენტარი
ხარჯები			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში	407 557	542142	
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე)			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე)			
საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი, სასტუმროები და სხვ.)			
სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია)	320		
აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწერთელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი			
აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით)	1 545	22000	
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები		50760	
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი		57000	
აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების საეარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა)		7800	
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი	10 000	11216	
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებული სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.)			
სულ აფგ პროგრამის ხარჯები	419 422	690 918	
შემოსავლები			
უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, სანეწროები და ა.შ.)			
უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის	147 779	38764.42	
სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის		50000	
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის		386838	
ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებული სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში!		254080	
უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვნებალი მთლიანი შემოსავალი	147 779	729 682	
წმინდა შედეგი	(271 643)	38 764	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მაძიებელი იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:

უფლებამოსილი პირი: არჩილ პოლქვაძე

თარიღი: 10.03.2021

1

ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:

აუდიტორული კომპანია: ფი ქაიუშ კაიხაიძე

უფლებამოსილი წარმომადგენელი: გონა ჭოლოყაძე

თარიღი: 10.03.2021

1

1. შესავალი

ზოგადი ინფორმაცია

„შპს დინამო ბათუმი“ დაფუძნდა 2008 წლის 02 სექტემბერს. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო #245622205.

საჯარო რეესტრის 2020 წლის 9 იანვრის N B20000711/11 გადაწყვეტილებით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საუბელოზე, „შპს ლამინი“-ს (ს/ნ 445533469) აქარის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი 100% წილი გადაეცა მართვის და არა საკუთრების უფლებით.

საფეხბურთო კლუბის მესაკუთრეა სსიპ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი.

წარმომადგენლობითი უფლება-მოსილება მინიჭებული არჩილ ბოლქვაძეს (6100700412).

იურიდიული მისამართი : საქართველო, ქ.ბათუმი, ლ.ასათიანის ქ. N25.

ძირითადი საქმიანობა : საფეხბურთო საქმიანობა.

კლუბი 2019 წელს ასპარეზობს ეროვნულ ლიგა 1-ში.

წარდგენის საფუძვლები

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წარდგენის მიზნით. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ცალკეულ ფინანსურ ელემენტთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კლუბის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოდგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

შპს „დინამო ბათუმი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი

	ვალუტა	31 დეკ 2020	31 დეკ 2019
1 USD/GEL		3.2766	2.8677
1 EUR/GEL		4.0233	3.2095

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და მცირე და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB-ის) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები. ამასთანავე ანგარიშგება ითვალისწინებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კლუბების ლიცენზირების მოქმედი დებულების 48, 49, 50 და 50¹-ე მუხლების მოთხოვნებს თანახმად ანგარიშგების წარდგენის შესახებ.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება საბალანსო უწყისისიგან, მოგება-ზარალის უწყისისიგან, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისისიგან, ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებისაგან და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2020 წლის 31 დეკემბრის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB-ის) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC-ის) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების ზარალიანობა და საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

მიღებული გრანტების და სახელმწიფო დაფინანსების აღრიცხვისას გამოიყენება შემოსავლის-მეთოდი,

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში, როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას

გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები (მოთამაშე)

ფეხბურთელის რეგისტრაციის/შემენის ხარჯი ასახულია არამატერიალური აქტივების სახით და ამორტიზირებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოშვებული კლუბების ლიცენზირების დებულებების დანართი IV-ის მიხედვით.

ცვტა

ცვტა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ჯგუფების ცვტისათვის:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა ნაგებობები	50
მანქანა დანადგარები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
ოფისის აღჭურვილობა	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

განვლილ პერიოდში მიღებული სუბსიდიები, შემოწირულობები, და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან, შემოწირულობები და სხვა არადაკავშირებულ მხარიდან მიღებული შემოსავლები, აღიარებულია შემოსავალში დარიცხვის მეთოდით, რომლის მიხედვითაც მსგავსი შემოსავლები აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემურ საფუძველზე, იმ საანგარიშო პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტის მეშვეობით ხდება, ხოლო სხვა საოპერაციო შემოსავლები დარიცხვის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის

მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა და ანგარიშგებაში ასახვა ხდება ინდივიდუალურ დანახარჯთა მეთოდით.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კლუბის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებსა და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. საჭიროა მენეჯმენტის მსჯელობა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	73	87,449
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	929	160
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	201,064	59
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	202,067	87,668

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

5. სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად, პერიოდების შესაბამისად შემდეგი ნაშთით:

სხვა დებიტორული დავალიანება	31.12.2020	31.12.2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	92,433	112,691
სხვა დებიტორული დავალიანება	81,046	74,970
სულ სხვა დებიტორული დავალიანება	173,479	187,660

6. გაცემული სესხები

საფეხბურთო კლუბმა შპს „დინამო ბათუმი“ 2020 წლის 29 ივნისს გასცა სესხი შპს „ლამინიზე“ 600,000 ლარის ოდენობის წლიური 20%-იანი განაკვეთით. მოცემულ სესხს დაერიცხა 61,151 ლარის პროცენტი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფიქსირდება პროცენტის და ძირის მიღება: პროცენტის თანხა 61,151 და ძირი თანხა 23,000. ჯამურად ნაშთი შეადგენს 577,000 ლარს. ასევე 2020 წლის 1 სექტემბერს შპს „დინამო ბათუმმა“ გასცა სესხი შპს „ლამინიზე“ 154,000 ლარის და 218,000 ლარის ოდენობით, წლიური 20%- განაკვეთით. სესხის გამოყენების ვადა 31.12.2020 წელი. მოცემულ სესხებთან დაკავშირებით შპს „დინამო ბათუმმა“ მიიღო საპროცენტო შემოსავალი: 10,295 ლარი და 14,573 ლარი, მოცემულ სესხებთან მიმართებით ძირი თანხა არ გადაუხდიათ. ჯამში გაცემული სესხებიდან დარიცხული საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 86,019 ლარს. გაცემული სესხები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 1,035,019 ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხი არ ფიქსირდება.

7. მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები	31.12.2020	31.12.2019
სარეალიზაციო საქონელი	37,310	37,315
სპორტული ინვენტარი	-	28,416
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	-	71,862
სულ მარაგები	37,310	137,593

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება						
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	-	3,500	13,150	25,106	175,600	217,356
შეძენა	-	1,882	12,778	300	-	14,960
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2020 წლის მდგომარეობით	-	5,382	25,928	25,406	175,600	232,316

ცვეთა	მიწა	შენობა ნაგებობების ცვეთა	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	ავჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	სულ
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	-	-	(1,239)	(5,758)	(22,533)	(70,346)
დამატება	-	89	4,554	2,523	3,512	10,678
შემცირება	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2020 წლის მდგომარეობით	-	(1,328)	(10,312)	(25,056)	(73,858)	(110,554)
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	-	2,261	7,392	2,573	105,254	117,480
ბალანსი 31.12.2020 წლის მდგომარეობით	-	4,054	15,616	350	101,742	121,762

9. კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი	31.12.2020	31.12.2019
სააქციო/საწესდებო კაპიტალი	1,240,990	463,048
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	(2,449,837)	(733,678)
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	(1,208,847)	(270,630)

კლუბის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 463 085 ლარს 31.12.2019 წლის მდგომარეობით. 2020 წლის განმავლობაში კომპანიის კაპიტალში შემოვიდა 777,942 ლარი „შპს ლამინის“ მიერ რომელსაც დინამო ბათუმი აქვს გადაცემული მართვის, და არა საკუთრების, უფლებით და ვალდებული ყოველს წელს შეიტანოს თანხა არა ნაკლებ 500,000 ლარისა.

10. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	31.12.2020	31.12.2019
ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე (ფეხბურთელები და სამწროვანო შტაბი)	80,876	18,293
ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე (დანარჩენი თანამშრომლები)	405,624	299,432
სულ ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	486,501	317,725

11. სხვა საგადასახადო ვალდებულება

სხვა საგადასახადო ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2019
საშემოსავლო გადასახადი	41,845	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	606,851	138,301
გადახდილი დღგ	-	-
ქონების გადასახადი	-	-
გადასახდელი დღგ	3,853	147
სულ სხვა საგადასახადო ვალდებულებები	652,550	138,448

12. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

სხვა მიმდინარე ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2019
მოწოდებით და მომსახურებით წარმოქმნილი ვალდებულებები	560,874	242,952

შპს „დინამო ბათუმი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი

ვალდებულებები სავაჭრო საგენტოს წინაშე	196,646	98,584
მიღებული ავანსები	88,500	10,300
სულ სხვა მიმდინარე ვალდებულებები	846,020	351,836

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილი ცხადყოფს, კლუბის ანგარიშზე რიცხული დავალიანება არ წარმოადგენს ხანდაზმულ დავალიანებას და იგი წარმოქმნილია „ნორმალური“ საოპერაციო საქმიანობის შედეგად. აქედან გამომდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

13. მიღებული სესხები

საფეხბურთო კლუბმა შპს "დინამო ბათუმი" 29/6/2020 აიღო "სს ვითიბი ბანკი ჯორჯია"-სგან 660 000 ლარის სესხი წლიური 14% განაკვეთით და 3/1/2021-მდე დაფარვის ვადით. დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 23,543, რომელიც სრულად დაიფარა. 31/12/2020 მდგომარეობით გადასახდელმა მოცემული სესხი გადახდილი სრულად.

საფეხბურთო კლუბმა შპს "დინამო ბათუმი" ასევე 29/6/2020 აიღო "სს ვითიბი ბანკი ჯორჯია"-სგან 640 000 ლარის სესხი წლიური 14% განაკვეთით და 1/4/2021-მდე დაფარვის ვადით. ძირითადი თანხის დაფარვა არ მომხდარა. დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 44,677, გადახდილია 22,414. 31/12/2020 მდგომარეობით გადასახდელმა სესხმა შეადგინა 640 000 ლარი.

კლუბმა 28/8/2020 აიღო აიიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“-სგან 100 000 ევროს ოდენობის სესხი. წლიური საპროცენტო განაკვეთია 6.2%, დაფარვის ბოლო თარიღი 25/11/2020. სესხს დაერიცხა პროცენტი 10,714 ლარი. 31/12/2020 მდგომარეობით გადასახდელი სესხი შეადგენს 253,850 ლარს. გადასახდელი პროცენტი შეადგენს 10,714 ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხები არ ფიქსირდება.

14. შემოსავლები

შემოსავლები	2020	2019
სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან	947,664	2,653,018
შემოსავალი რეკლამიდან	434,248	743,789
შემოსავალი რეალიზაციიდან	9,230	13,191
უფასო სოლიარობა და საპრიზო თანხა	1,362,768	56,155
შემოსავალი ტრანსფერიდან	36,420	-
შემოსავალი სპონსორებიდან	-	77,500

- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია ა ან დ-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, დ ან ე-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.
- კომპანიის ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან ძირითადად წარმოადგენენ გაცემულ და მიღებულ სესხებს.

დინამო ბათუმმა 2020 წელს სესხი აიღო რეზო ანანიძისგან 80,050 ლარი და 18,000 ევრო. დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 4,465 ლარი. აღებული სესხის ძირიც და პროცენტი გადაიხდილია სრულად მოკლე ვადიან პერიოდში.

2020 წელს დინამო ბათუმს გაცემული აქვს სესხი „შპს ლამინიზე“ სამი სესხი. სამივე წლიურ 20%-ში. გაცემული სესხი შეადგენს 1) 600,000 2) 154,000 3) 218,000. სამივე სესხის მთლიანი დარიცხული პროცენტი შეადგენს 86,019 ლარს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლამინიზე გაცემული სესხის ნაშთი შეადგენს 949,000 ლარს ხოლო მისაღები პროცენტი 86,019 ლარს.

მენეჯმენტის ანაზღაურება	2020	2019
ხელფასი და სხვა	19,750	23,187
სულ მენეჯმენტის ანაზღაურება	19,750	23,187

20. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

კომპანია მთელი თავისი საქმიანობის განმავლობაში ზარალზეა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კომპანიის ამოცანას არ წარმოადგენს მოგების მიღება, მისი მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს ფეხბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციას.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 10 მარტს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კლუბის ფინანსურ მდგომარეობაზე არ დაფიქსირებულა.